სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

დადგენილება № სფ-0297-23
ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ხაშური 07 სექტემბერი, 2023წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" სამხრეთ საქართველოს ფილიალის იურისტი - მარიამ ფარეიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2023 წლის 07 სექტემბერი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ირაკლი გვარამაძე

პირადი №01019050839;

აბონენტის №3810081922;

მცხოვრები: ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. №2ა

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

მიმდინარე წლის 04 აგვისტოს ქ. ხაშურში, ჟდანოვის ქ. №1-ში რეგისტრირებული №3810081922 აბონენტის - თამარა გვარამაძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას, დაფიქსირდა ამავე მისამართზე მცხოვრები პირის - ირაკლი გვარამაძის მხრიდან ელ. ენერგიის მიწოდების თვითნებურად აღდგენის ფაქტი. აღნიშნულის თაობაზე 04 აგვისტოს ხაშურის მ/ც-ის უბნის მენეჯერის გივი შაშუკის მიერ შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A1166459, ხოლო 05.09.2023 წელს გივი შაშუკის მიერ - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას №009849. კომისიამ გამოიკვლია წარმოდგენილი დოკუმენტაცია. როგორც გამოირკვა, №3810081922 აბონენტის - თამარა გვარამაძის სახელზე რეგისტრირებული მრიცხველი დავალიანების გამო გაითიშა ქსელიდან, ხოლო აღრიცხვის კვანძის შემოწმების მომენტში დაფიქსირდა ირაკლი გვარამაძის მხრიდან ელ.ენერგიის მიწოდების თვითნებურად აღდგენისა და ელ.ენერგიის მოხმარების ფაქტი, რაც დადასტურდა მრიცხველის მომატებული ჩვენებით. ამასთან, მრიცხველის კარადა გაღებული იყო ძალისმიერი ზემოქმედებით და შესაბამისად, დაზიანებული. აღნიშნული ქმედება სემეკის 28.06.21 №19 დადგენილებით დამტკიცებული "ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" 33-ე მუხლის შესაბამისად, ითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. ირაკლი გვარამაძეს ადგილზე გადაეცა და გაეცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რაც დასტურდება ოქმზე მისი ხელმოწერით. იგი

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
დაეთანხმა ოქმის შინაარს და წერილობით განმარტა, რომ თვითნებურად ჩართო მრიცხველი. ამასთან, აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება.

ირაკლი გვარამაძის მიერ ელ.ენერგიის უკანონო მოხმარება (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, თუმცა, საქმეში წარმოდგენილი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2023 წლის 09 სექტემბერს ელექტრონულად გამოგზავნილი ცნობით დასტურდება, რომ შპს „სოკარ ჯორჯია გაზი - ქართლის" იურიდიული სამსახურის მიერ 20.02.2023 წელს გამოვლინდა ი. გვარამაძის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა (ოქმი №020886), რისთვისაც შესაბამისი დადგენილებით მიეცა გაფრთხილება.

გარდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა, საქმეში, ასევე, წარმოდგენილია 04.08.2023 წლის აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A1166459, რომლებითაც დასტურდება აღრიცხვის წესების დარღვევით ელ.ენერგიის მოხმარების ფაქტი. ამასთან, ფაქტია, რომ ელ.ენერგიის თვითნებურად აღდგენა მხოლოდ ელ.ენერგიის მომხმარებლის ინტერესში შედის. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ირაკლი გვარამაძემ მეორედ ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. საქმეში დევს დადასტურება (შესაბამისი უწყება), რომ სამართალდამრღვევს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე. თუმცა, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ გადადების თაობაზე მას არანაირი განცხადებით კომისიისთვის არ მოუმართავს. ამდენად, კომისია სამართალდამრღვევის დასწრების გარეშე უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჩაბარების დადასტურება), რომელთა მეშვეობითაც დგინდება ირაკლი გვარამაძის (პირადი №01019050839) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ.ენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ა.ს.კ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვიანი ვადა.

.....

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მე-2 ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე; 228[2]-ე მუხლებით; სემეკის 28.06.21 წლის №19 დადგენილებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" დირექტორთა საბჭოს

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
თავმჯდომარის 29.06.2022 წლის № EPG RU2022007 წესითა და 10.10.2022 წლის №EPG OR2022037 ბრძანებით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. **ირაკლი გვარამაძე (პ/ნ №01019050839)** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.
7. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი ----------;
8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე:
მარიამ ფარეიშვილი